მარინე ხუციშვილი
ნინო ნაჯუდაშვილი

ქართული ენა და ლიტერატურა

ძველი ქართული მწერლობა

მასწავლებლის წიგნი

I ნაწილი

10

სხივგლოსნა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ქართული ენა და ლიტერატურა

X

ძველი ქართული მწერლობა

მასწავლებლის წიგნი

I ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს

ავტორები: მარინე ხუციშვილი
ნინო ნაკუდაშვილი

სხივი

თბილისი – 2022

ქართული ენა და ლიტერატურა
ძველი ქართული მწერლობა
X კლასის მასწავლებლის წიგნი
I ნაწილი

ავტორ-შემდგენლები: მარინე ხუციშვილი
ნინო ნაკუდაშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2022 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39
ტელ.: 2 36 91 85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9713-5-8

M. Khucishvili, N. Nakudashvili
GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 10
Teacher’s book
First Edition, 2022
Published by STSAVLANI Publishing

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი 5

2. ქართული ენა და ლიტერატურა. საშუალო საფეხურის სტანდარტი 6

3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (თემატური მატრიცა) 17

4. მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები 65

შესავალი

X კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

X კლასის სახელმძღვანელო სწავლების ზედა საფეხურის (X-XII კლასების) პირველი სახელმძღვანელოა, რომლითაც ლიტერატურის სწავლების ახალი ეტაპი, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის სწავლება, უნდა დაიწყოს. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით, X კლასში განსაზღვრულია ძველი, XI კლასში – ახალი და XII კლასში უახლესი ქართული ლიტერატურის შესწავლა.

ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლის დასაწყებად ნიადაგი საბაზო სკოლის სასწავლო გეგმამ და სახელმძღვანელოებმა შეამზადეს კითხვის მიზანმიმართული ხერხების, ე. წ. სტრატეგიებისა, და ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტების შესწავლით. საბაზო სკოლაში მოსწავლეები ეცნობოდნენ ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტების ფრაგმენტებს და მათი კითხვის სტრატეგიებს (ტექსტის პერიფრაზირება, სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით, ნაწარმოების კითხვა ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტზე დაყრდნობით და სხვ.).

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა დაყოფილია თავებად თემატური და ჟანრობრივი პრინციპის მიხედვით. თითოეული თავის სტრუქტურა მკვეთრად არის განსაზღვრული სწავლების მეთოდიკაზე დაყრდნობით. გამოყოფილია ტექსტის წაკითხვამდე, ტექსტის კითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდგომი აქტივობები. ტექსტის წაკითხვამდე აქტივობები: არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირება, ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტები და კითხვის სტრატეგია – კითხვის პროცესის მოდელირების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. კითხვის შემდგომი აქტივობები კი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების პროცესს გაუადვილებს.

ენის საკითხები მოცემულია ტექსტზე დართული სავარჯიშოების რუბრიკაში: „ტექსტის ენა“. საბაზო საფეხურიდან მოსწავლეები შეჩვეულნი არიან ტექსტებიდან გამოკრებილ ენობრივ ფორმებზე დაკვირვებას, თანაც პრაქტიკული გრამატიკის სისტემური კურსი მათ უკვე გავლილი აქვთ. ამიტომ ძირითადი ცნებები და საკითხები მათთვის ნაცნობია. ძველი ქართული ენის გრამატიკული ფორმების გაცნობა, ერთი მხრივ, ძველი ტექსტების უკეთ გაგებაში ეხმარება მათ, მეორე მხრივ კი, თანამედროვე ქართულის გრამატიკის შესწავლის დროს ათვისებული ცოდნის განმტკიცებაში.

ქართული ენა და ლიტერატურა
საშუალო საფეხურის სტანდარტი

ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო კურსი საშუალო საფეხურზე გულისხმობს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლებას.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები**.

სტანდარტის **შინაარსი** აღიწერება ქვეცნებებისა და თემების სახით.

ეროვნული სასწავლო გეგმა საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ სავალდებულოდ განსაზღვრავს თემებს, ხოლო მათ შესასწავლად საჭირო ქვეცნებებსა თუ საკითხებს სკოლები თავად ირჩევენ.

თემებს ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**. ისინი მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. თითოეულ კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებასთანაა ის დაკავშირებული.

საფეხურის შედეგები:

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საშ. 1**.

„ქართ.“ – აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.საშ.1	ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის.	**ჟანრი** (ქართ.საშ.1,4,6,7)
ქართ.საშ.2	ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციოისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება, როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში.	**კომპოზიცია** (ქართ.საშ.1,3,4,6,7)

ქართ.საშ.3	საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით.	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ქართ.საშ.4,6,7)
ქართ.საშ.4	ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად.	კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)
ქართ.საშ.5	ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების /მიდგომების ჭრილში შესაფასებლად.	
ქართ. საშ.6	სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად).	
ქართ.საშ.7	ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას).	

სავალდებულო თემები

სავალდებულო (საბაზისო) კურსი მოსწავლეებს სთავაზობს ლიტერატურის შესწავლას ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ გზით მოსწავლეები შეიქმნიან წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ძირითად პერიოდებზე და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. კერძოდ, მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებებს გააანალიზებენ მათი შექმნის თანადროული ეპოქის კონტექსტში, ეპოქისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად პრობლემატიკას, მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, მორალურ-ეთიკურ თუ ესთეტიკურ ორიენტირებს. მხატვრული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველი მწერლების პუბლიცისტური თხზულებები და

ესეები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა, იდეები, ესთეტიკური შეხედულებები.

V- XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა
XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თითოეული სასწავლო თემა ისწავლება ქვეთემების მეშვეობით, რომლებიც განისაზღვრება ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით (მაგ., ცხოვრების საზრისის ძიება, ადამიანი საზოგადოების პირისპირ, სიყვარული, ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან და მისთ.).

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“;
2. იოანე საბანისძე – „აბოს წამება“ (I-III თავები);
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მითითებული სახით. იხ. დანართი);

   სულ მცირე ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება.

4. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“;
5. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი);
7. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“;
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“;
9. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“;
10. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“;
11. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“;
12. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
13. ტიციან ტაბიძე – „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“;
14. მიხეილ ჯავახიშვილი – სულ მცირე ერთი მოთხრობა;
15. ნ. ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
16. ლეო ქიაჩელი – „ჰაკი აძბა“;

17. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
18. გიორგი ლეონიძე – „ყივჩაღის პაემანი“;
19. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
20. გურამ რჩეულიშვილი – სულ მცირე ერთი თხზულება;
21. ჯემალ ქარჩხაძე – სულ მცირე ერთი თხზულება;
22. ოთარ ჭილაძე – სულ მცირე ერთი თხზულება;
23. გურამ დოჩანაშვილი – სულ მცირე ერთი თხზულება.

სწავლა-სწავლების პროცესში სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და ქვეცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით).

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

ჟანრი

<u>მხატვრული ნაწარმოებები:</u> ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, რომანი, ეპოსი, დრამატურგიული ნაწარმოებები (კომედია, დრამა, ტრაგედია), ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა (მაგ., იგავ-არაკი), <u>არამხატვრული ნაწარმოებები:</u> ბიოგრაფიული ტექსტები, მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია); საგაზეთო სტატია, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; სხვადასხვა სახის ესე, რეფერატი.

კომპოზიცია

<u>შინაარსობრივი მხარე:</u>

თემა, დედააზრი/მთავარი იდეა, მთავარი/ძირითადი საკითხი; ქვეტექსტური ინფორმაცია;

ავტორი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);

მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი; მონოლოგის სახეები;

დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქციები;

პეიზაჟი, ინტერიერი და მათი ფუნქციები; განწყობა;

ავტორისეული ჩანართები; ლირიკული გადახვევა;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი, ეპიგრაფი);

წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური);

მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები (პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის

შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი);

სტრუქტურა-ორგანიზება: ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, ეპიგრაფი, პარაგრაფი, თავი, ქვეთავი); რითმა, მეტრი;

სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ყალიბები (მაგ., შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, პრობლემა და მისი გადაწყვეტა).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

ფუნქციური სტილი – სასაუბრო, მწიგნობრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული;

ენობრივი ფიგურები – ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ევფონია), სემანტიკური ფიგურები (მაგ., იდიომები, ევფემიზმი); სტილისტური ფიგურები (ელიფსისი, გამეორება, ანაფორა);

ინტერტექსტუალური მიმართებები და მათი გამოხატვის საშუალებები – ალუზია, ციტატა.

ენობრივ-გრამატიკული ფორმები – დროით-სივრცული და ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტებში; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები – ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა, სიმბოლო და სხვ.;

ლექსიკისა და სტილის საკითხები – არქაიზმი; სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები; ტავტოლოგია; კალკი, ატროფია; პარონიმები; ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი; კლიშე.

რიტორიკის ელემენტები – თეზისი, არგუმენტი, კონტრარგუმენტი, რიტორიკული ხერხები (მაგ., რიტორიკული შეკითხვა); რიტორიკული სტილის მახასიათებლები.

საკომუნიკაციო სიტუაცია – თემა, მიზანი, აუდიტორია, კომუნიკაციის სახეები, არხები, ფორმები; სოციოკულტურული გარემო.

კონტექსტი

ისტორიული და სოციოკულტურული – ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.

ბიოგრაფიული კონტექსტი – მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.

თემა: V- XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

V-X საუკუნეები (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის სასწავლო წლის პირველ სემესტრში)

სასულიერო მწერლობა; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქვეჟანრები; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ინტერტექსტუალურობა; ჰაგიოგრაფიული გმირი/პერსონაჟი (გმირის იდეალი); სულიერი ავტორიტეტი; სულიერების, სიწმინდის/წმინდანობის გაგება; დამოკიდებულება ღმერთთან (/„მიბაძვა„), ხსნის გზის ძიება; ჰაგიოგრაფიული თხზულება, როგორც ისტორიული წყარო.

XII-XVIII საუკუნეები (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის მეორე სემესტრში)

აზროვნების სეკულარიზაცია და ქართული საერო მწერლობა; ახალი ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა); ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალი (რენესანსული იდეალები – ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანი); ინტერტექსტუალურობა; თვითშემეცნების გზების ძიება; დამოკიდებულება სამყაროსთან, ცოდნასთან.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

<u>რომანტიზმი</u> – რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, მთავარი მოტივები (მაგ., სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, გაიდეალება წარსულის, სიყვარულის, ბუნების), ჟანრები; რომანტიკული გმირი/პერსონაჟი და მისი ტრაგიზმი; კონფლიქტი/გაუცხოება საზოგადოებასთან, რომანტიკული მსოფლაღქმა: ფოკუსირება ინდივიდზე/ინდივიდუალურზე, ემოციებზე, სუბიექტურზე; ორი სამყაროს (ცნობიერისა და იდეალურის/ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი.

<u>რეალიზმი</u> – რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, სახასიათო ჟანრები; რეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟი, ტიპობრივი პერსონაჟი; კომპლექსური ურთიერთობები რეალისტური კონცეფციის გმირებს/პერსონაჟებსა და საზოგადოებას შორის;

თერგდალეულთა მოძრაობა.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების, ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეული გამოცდილების) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

თემა: XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

მოდერნიზმი – ახალი ფორმების, ახალი პოეტური ტექნიკების ძიება; მოდერნისტული ნაწარმოებების გმირი/პერსონაჟი; ორი სამყაროს (ცნობადისა და ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი; ფოკუსირება ინდივიდზე, მის შინაგან სამყაროზე (/არაცნობიერზე); ასოციაციურობა (ასოციაციური თხრობა, ცნობიერების ნაკადი); სამყარო/საზოგადოება, როგორც გამოწვევა ინდივიდის მთლიანობისთვის; ცისფერყანწელთა ორდენი.

პოსტმოდერნიზმი – პოსტმოდერნიზმის მახასიათებლები: მაგ.: თამაში, ფრაგმენტულობა, პირობითობა, ირონია; სუბიექტური მთხრობელი, თვითრეფლექსია; ინტერტექსტუალურობა; პოსტმოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ეკლექტური ბუნება.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების, ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

(თემატური მატრიცა)

სახელმძღვანელოს I ნაწილი

სახელმძღვანელოს I ნაწილი. V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურა
სასწავლო თემა: V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა **ქვეთემები:** 1. ძალის უძლურება 2. ტალანტის გამრავლება **საათების საორიენტაციო რაოდენობა:** 50 საათი (შენიშვნა: ზუსტი დრო მიეთითება მას შემდეგ, როცა მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ ქვეთემებზე მუშაობას)
თემატური მკვიდრი წარმოდგენები: 1. უძველესი პერიოდის (V-X სს-ის) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას (ეკლესიის წმინდანთა „ცხოვრებებსა“ და „წამებებს“), რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია. 2. ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ ბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას. 3. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და სხვა ელემენტების მსგავსებას. 4. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების (მაგ., რელიგიის ისტორიის, შესაბამისი ეპოქის სოციალური ფენების, რელიგიური და კულტურული წარმოდგენების) შესასწავლად.
ძირითადი რესურსები/ტექსტები: 1. იაკობ ხუცესი, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“; 2. იოანე საბანისძე, „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი“; 3. გიორგი მერჩულე, „ცხორებაჲ წმიდისა გროგოლ ხანძთელისაჲ“. **დამატებითი რესურსები/ტექსტები:** 1. გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჷმისი“; 2. ანა კალანდაძე, „როცა სხივი...“;

3. მანანა ჩიტიშვილი, „ისევ მოვა მალე მარტი“;

4. დოკუმენტური ფილმი „შუშანიკის წამება“ (ნაწილი 1-2-3), (ნაწილი 4);

5. სოფოკლე, „ანტიგონე“;

6. ლევან გიგინეიშვილი, „ორი ანტიგონე“ (ვიდეოლექცია);

7. ნოდარ წულეისკირი, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ (ნაწყვეტი რომანიდან);

8. „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება“ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ვიდეო);

9. ვასილ ბარნოვი, „ტრფობა წამებული“ (ნაწყვეტი რომანიდან“).

თემის I ნაწილის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

1. ჟანრი; 2. კომპოზიცია; 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები;
4. კონტექსტი.

თემის I ნაწილის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

1. ჰაგიოგრაფიის ჟანრული მახასიათებლები; 2. ნაწარმოების თემა, მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი (მისი ქცევა, მოტივაცია, ფასეულობები და დამოკიდებულებები, ემოციები, ურთიერთობები), ჰაგიოგრაფიული პერსონაჟი, გმირი და ანტიგმირი; თეზისი, არგუმენტი, დასკვნა; 3. სიმბოლო; სტილი და სტილიზაცია; ენის მიზანმიმართული გამოყენება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით; 4. ნაწარმოებში ასახული ეპოქის მსოფლმხედველობის (ესთეტიკის) გათვალისწინება; ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან.

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები კონტექსტი (შედეგი 1, 4,6,7; 1,3,4,6,7; 4,6,7; 2,5)	**საკითხი** – ზეპირი არგუმენტირებული მსჯელობის მომზადება თემაზე: „შუშანიკის წამება“ – სარწმუნოებრივ-ოჯახური თუ ისტორიულ-პოლიტიკური დრამა?“ **საკვანძო შეკითხვა –** როგორ მოვამზადო არგუმენტირებული ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკის წამება“ – სარწმუნოებრივ-ოჯახური თუ ისტორიულ-პოლიტიკური დრამა“? როგორ გამოვხატო საკუთარი პოზიცია მსმენელთათვის საინტერესოდ და დამაჯერებლად?

ქვეცნება – ჰაგიოგრაფიის ჟანრული მახასიათებლები; ნაწარმოების თემა, მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟი (გმირი და ანტიგმირი); თეზისი, არგუმენტი, დასკვნა; ენის მიზანმიმართული გამოყენება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით; ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება; ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან.	**კომპლექსური დავალება –** „შუშანიკის წამების“ ტექსტსა და ამავე სახელწოდების დოკუმენტურ ფილმზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკის წამება“ – სარწმუნოებრივ-ოჯახური თუ ისტორიულ-პოლიტიკური დრამა?“ ამისათვის: • გააანალიზეთ ისტორიული კონტექსტი, რომლის ფონზეც ვითარდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება (საქართველო ირანსა და ბიზანტიას შუა); • ისაუბრეთ, ვინ არიან ნაწარმოების პერსონაჟები და როგორ ირეკლება მათ მოქმედებაში მათი პიროვნული ვნებები და ქვეყნის ისტორიული არჩევანი; • გაითვალისწინეთ დამარწმუნებელი ტექსტის სტრუქტურა (გამოკვეთეთ მთავარი დებულება (თეზისი), მოიხმეთ არგუმენტები, გამოიტანეთ დასკვნა).
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
1) ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრობრივი მახასიათებლებისაგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი	• რომელ ცნობებს და რა მინიშნებებს ეყრდნობით ტექსტიდან ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის ანალიზისა და პერსონაჟთა პიროვნული ვნებების შეფასებისას (**ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი**); • რა არის თქვენი ძირითადი დებულება (თეზისი) და რა არგუმენტებს იყენებთ ამ დებულების დამადასტურებლად (**კომპოზიცია**); • რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებთ აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად (**ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშ.**).

შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **4) კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.	

3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, აისახება თუ არა ქვეყანაში არსებული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება ცალკეული ოჯახების ცხოვრებაზე? (პასუხი დაასაბუთეთ)
- შესაძლებელია, რომ კონფლიქტი ოჯახის წევრებს შორის არსებული პოლიტიკური ვითარების გამოძახილი იყოს? (ხომ არ გაიხსენებთ მაგალითებს წაკითხული ნაწარმოებიდან, ნანახი ფილმიდან ან რეალური ცხოვრებიდან?)

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 .

რომელ ცნობებს და რა მინიშნებებს ეყრდნობით ტექსტიდან ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის ანალიზისა და პერსონაჟთა პიროვნული ვნებების წარმოჩენისას (**ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი**).

აქტივობა 1. ტექსტის გაცნობამდე დასამუშავებელი საკითხების წაკითხვა-გაანალიზება: V საუკუნის ქართლი, ავტორი-მთხრობელი, პერსონაჟი, გმირი და ანტიგმირი, ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება.

რესურსი 1. მხატვრული ანალიზის ელემენტები.
სახელმძღვანელო, I ნაწილი, თავი I, გვ. 24, გვ. 57.

კითხვები:

- რატომ მიიჩნევენ, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები ძვირფასი ისტორიული წყაროა?
- რა გავიგეთ V საუკუნის ქართლში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ?

- რატომ არის მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ავტორი მასში გადმოცემული ამბის თვითმხილველი და მონაწილეა?
- ვინ არის ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოების მთავარი გმირი, ვინ უპირისპირდება მას?
- რას გულისხმობს ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება ნაწარმოების კითხვის დროს?

აქტივობა 2. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ტექსტის წაკითხვა და დამუშავება სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით.

რესურსი 2. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“

სახელმძღვანელო, გვ. 22 – 56.

აქტივობა 3. სახელმძღვანელოში მოცემული შუალედური დავალებების შესრულება: „იმსჯელეთ თემაზე: იაკობ ხუცესი, როგორც ნაწარმოების ავტორი და პერსონაჟი“; საგანთაშორისი კავშირები.

რესურსი 3. შესაბამისი კითხვები სახელმძღვანელოდან.

სახელმძღვანელო, გვ. 56, 58, 59.

აქტივობა 4. დამატებითი წყაროს (დოკუმენტური ფილმის) დამუშავება.

რესურსი 4. დოკუმენტური ფილმი „შუშანიკის წამება“ 2 ნაწილად: 1. „შუშანიკის წამება“ (ნაწილი 1-2-3); 2. „შუშანიკის წამება“ (ნაწილი 4). ხელმისაწვდომია ინტერნეტში (ისარგებლეთ გუგლის საძიებო სისტემით).

კითხვები:

- რა ურთიერთობა იყო V საუკუნეში საქართველოსა და ორ დიდ იმპერიას – ირანსა და ბიზანტიას – შორის?
- რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ურთიერთობების ფონზე ქვეყნის რელიგიურ სტატუსს?
- რომელ მხარეს იხრებოდა ვახტანგ გორგასალი და ვინ ედგა მას ოპოზიციაში?
- რა ურთიერთობა იყო შუშანიკისა და ვარსქენის ოჯახებს შორის, რა პოზიცია ეკავათ ამ დაპირისპირებაში არშუშა პიტიახშსა და ვარდან მამიკონიანს?

აქტივობა 5. ტექსტზე დაკვირვება კონკრეტული მიზნით:

პერსონაჟების ქცევაზე დაკვირვება.

რესურსი 5. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“.

სახელმძღვანელო, გვ. 22 – 56.

კითხვები:

- ვინ არიან იაკობ ხუცესის ნაწარმოების პერსონაჟები? როგორ შემოყავს ისინი ავტორს ტექსტში?
- ჩანს თუ არა ტექსტიდან, რომ ვარსქენის საქციელი შუშანიკისთვის მოულოდნელი არ ყოფილა?

- როგორ განმარტავს იაკობ ხუცესი ვარსქენის საქციელს?
- სად შეჩერდა სპარსეთიდან მობრუნებული ვარსქენი და რატომ? რაზე მიგვანიშნებს ავტორის კომენტარი: „ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“?
- რა ბრალდებას უყენებს სახლში დაბრუნებული ვარსქენი შუშანიკს და რა პასუხს იღებს ამ ბრალდებაზე დედოფლისაგან? რატომ უპირისპირებს შუშანიკი ვარსქენს არშუშა პიტიახშს?
- შუშანიკისაგან განსხვავებით, ვარსქენი ნაწარმოებში არსად არ ასაბუთებს საკუთარ პოზიციას. როგორ ახსნით ამ ფაქტს?
- როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა წინასწარ შემზადებული დედოფალი მომავალი თავგანწირვისათვის? რა როლი მიუძღვის ამ საქმეში, თქვენი აზრით, იაკობს, როგორც შუშანიკის მოძღვარს?
- თვალი გაადევნეთ ნაწარმოების სიუჟეტს და გაიხსენეთ, სად გამოთქვამენ ან ამჟღავნებენ მთავარი პერსონაჟები პიროვნულ წყენას, საყვედურს, ეჭვებს ერთმანეთის მიმართ. როგორც ამბობენ, დიდი სიყვარული შეიძლება დიდი სიძულვილით შეიცვალოს. როგორ დაახასიათებდით ამ კუთხით ვარსქენისა და შუშანიკის ურთიერთობას?

ნაბიჯი 2.

- რა არის თქვენი ძირითადი დებულება (თეზისი) და რა არგუმენტებს იყენებთ ამ დებულების დამადასტურებლად (**კომპოზიცია**);
- რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებთ აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად და თქვენი ნათქვამის გაგების გასაიოლებლად (**ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშ.**).

აქტივობა 1. მსჯელობის ძირითადი დებულების გამოკვეთა, არგუმენტების ჩამოყალიბება და მტკიცებულებების (ტექსტის შესაბამისი ადგილების ან ისტორიული ცნობების) მოძიება.

რესურსი 1. ტექსტზე დაკვირვება კონკრეტული მიზნით.
იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“.
სახელმძღვანელო, გვ. 26 – 54.

რესურსი 2. არგუმენტებისა და მტკიცებულებების ბანკი ცხრილის სახით.

ძირითადი დებულება ანუ თეზისი	
არგუმენტები (რატომ ვფიქრობ ასე?)	მტკიცებულებები (ციტატები, ცნობები)
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
დასკვნა:	

რესურსი 3. აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცხრილი.

მიზანი	საშუალებები	მაგალითები
1. კონტაქტის დამყარება მსმენელებთან.	პირდაპირი მიმართვა მსმენელებისადმი.	მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება... მინდა გითხრათ... მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა და შემდეგ თქვენიც მოვისმინო... შეიძლება, არ დამეთანხმოთ...
2. ნათქვამის გაგების გაიოლება მსმენელებისათვის.	სიტყვის ცალკეული ნაწილების გამოკვეთა, გამეორება.	უპირველეს ყოვლისა... ჯერ ერთი, მეორეც... კიდევ ერთხელ შეგახსენებთ... დასაწყისისათვის... ბოლოს მინდა ხაზი გავუსვა... დასკვნა ასეთია...
3. მსმენელის დაინტერესება, ყურადღების მიქცევა მნიშვნელოვანზე.	მნიშვნელოვანის ხაზგასმა კითხვებით.	რატომ მგონია ასე? რატომ ამბობს პერსონაჟი ამას? რატომ დუმს ავტორი?.. რით აიხსნება? რა მიზეზია, რომ...
4. მთავარის ხაზგასმა, გამოყოფა.	მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუქციების გამოყენება.	იმიტომ, რომ... ამიტომ მგონია... მაშასადამე... შესაბამისად... ვინაიდან... სწორედ ამიტომ...

5. პირადი დაინტერესების გამოხატვა.	პირველ პირში საუბარი, საკუთარი აზრის გამომხატველი სიტყვების გამოყენება.	მე ასე მგონია... ჩემი აზრით... მე როგორც ვფიქრობ...
6. მსმენელებისათვის მისაღები და გასაგები მტკიცებულებების მოხმობა.	ცნობილი გამონათქვამების გამოყენება, ავტორიტეტების აზრის დამოწმება, ფაქტების მოყვანა.	ისტორიული ფაქტები და ციტატები ტექსტიდან: როგორც ცნობილია V საუკუნის საქართველო... როგორც ავტორი წერს... პერსონაჟი ამბობს...

კითხვები:

- რა არის თქვენი მსჯელობის ძირითადი დებულება?
- რა არგუმენტები გაქვთ და რა მტკიცებულებებს ეყრდნობით, რომელ კონკრეტულ ეპიზოდებს მოიხმობთ ტექსტიდან თქვენი დებულების გასამყარებლად?
- რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებთ აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად?

აქტივობა 2. იდეების გენერირება, შავი მონახაზის (პირველადი ვერსიის) შექმნა, ნაშრომის გაუმჯობესება და წარდგენა.

კითხვები:

- როგორ იწყებთ და ასრულებთ თქვენს მსჯელობას, არის თუ არა კავშირი ძირითად დებულებასა და დასკვნას შორის?
- როგორ დაგეხმარათ დავალებაზე მუშაობა ზეპირი გამოსვლის მომზადებაში? (პასუხი დაასაბუთეთ).
- როგორ გავაუმჯობესო თავდაპირველი ვარიანტი დავალების მითითებებზე დაყრდნობით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N2
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები კონტექსტი (შედეგი 1,4,6,7; 1,3,4,6,7; 4,6,7; 2,5). **ქვეცნება –** მხატვრული ნაწარმოები (მოთხრობა), თემა, პერსონაჟი, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ისტორიული რეალიები.	**საკითხი –** მოთხრობის დაწერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოკვეთით. **საკვანძო შეკითხვა –** როგორ დავწერო მოთხრობა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის მონაწილეობითა და იტორიული კონტექსტის გათვალისწინებით? რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო პერსონაჟთა სახეების დასახატად? **კომპლექსური დავალება –** დაწერეთ მოთხრობა, რომლის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთება ორი დაპირისპირებული პერსონაჟი, თხრობა შეწყვიტეთ მაშინ, როდესაც მკთხველი ადვილად ამოიცნობს **გმირსა** და **ანტიგმირს**, ასევე – მათ შორის მოსალოდნელ კონფლიქტს. მოთხრობის დასაწყისი გააცანით მეწყვილეს და სთხოვეთ მისი დასრულება. მუშაობის დასრულების შემდგომ იმსჯელეთ, რამდენად სწორად ამოიცნო მეწყვილემ თქვენი ჩანაფიქრი, მოულოდნელი იყო თუ არა კონფლიქტის შემდგომი განვითარება და მოთხრობის დასასრული. ამისათვის: • წარმოაჩინეთ ისტორიული კონტექსტი, რომლის ფონზეც განვითარდება მოქმედება; • გამოკვეთეთ პერსონაჟთა ზრახვები და ხასიათები – გამოხატული მათს ქმედებებსა და მეტყველებაში; • დაპირისპირებულ პერსონაჟთა სახეების გამოსაკვეთად გამოიყენეთ დახასიათების სხვადასხვა ხერხი და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	• რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მოთხრობაა, რა ნაწილებისაგან შედგება იგი (**ჟანრი, კომპოზიცია**); • რამდენად დაგეხმარათ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ასახული გმირისა და ანტიგმირის სახეებზე დაკვირვება თქვენი პერსონაჟების ხასიათების წარმოჩენაში (**კომპოზიცია**); • თქვენ მიერ გამოყენებული რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტიანად და რატომ (**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**); • რა ზეგავლენას ახდენს ისტორიული კონტექსტი თქვენს მოთხრობაში ასახული კონფლიქტის ხასიათზე (**კონტექსტი, კომპოზიცია**).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- გაიხსენეთ, რა ხერხებს იყენებენ მწერლები პერსონაჟთა სახეების გამოსაკვეთად?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 .

- **რამდენად დაგეხმარათ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ასახული გმირისა და ანტიგმირის სახეებზე დაკვირვება თქვენი პერსონაჟების ხასიათების წარმოჩენაში (კომპოზიცია);**
- **თქვენ მიერ გამოყენებული რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტიანად და რატომ (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);**

აქტივობა 1. მუშაობა თემაზე: იაკობ ხუცესი, როგორც ავტორი და პერსონაჟი.

რესურსი 1. მხატვრული ანალიზის ელემენტები.

სახელმძღვანელო, გვ. 24, გვ. 56.

კითხვები:

- რა მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა – ავტორი?
- რა განსხვავებაა ავტორ-მთხრობელსა და ავტორ-პერსონაჟს შორის?
- როგორ ფიქრობთ, რა როლი აკისრია იაკობ ხუცესს ნაწარმოებში ამ თვალსაზრისით? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით (მოიშველიეთ სახელმძღვანელოდან გეგმა გვ. 56).

აქტივობა 2. მუშაობა მხატვრული ანალიზის ელემენტებზე.

გმირი და ანტიგმირი (გახსენება).

რესურსი 2. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“.

სახელმძღვანელო, გვ.22.

კითხვები:

- ვინ არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი?
- რა ფუნქცია აკისრია ჰაგიოგრაფიულ ტექსტში ანტიგმირს?
- როგორ გამოსახავდნენ ანტიგმირს შუა საუკუნეების ხატმწერები?

აქტივობა 3. ტექსტზე დაკვირვება კონკრეტული მიზნით:

პერსონაჟებზე დაკვირვება, ენობრივ-გამომსახველობით ხერხებზე დაკვირვება.

რესურსი 3. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება.“

სახელმძღვანელო, გვ.26-69

რესურსი 4. პერსონაჟის მახასიათებლებზე დაკვირვების ცხრილი.

პერსონაჟი	მახასიათებლები	ფრაზა/მინიშნება ტექსტიდან	მკითხველის კომენტარი/ შეფასება

რესურსი 5. ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვების ცხრილი.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (სიმბოლოები)	რა ფუნქციით იყენებს	მკითხველის კომენტარი/შეფასება

კითხვები:

- სად და როგორ ჩნდებიან ერთმანეთთან დაპირისპირებული პერსონაჟები ტექსტში პირველად?
- რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს მწერალი პერსონაჟთა სახეების გამოსაკვეთად?

შენიშვნა: ცხრილზე მუშაობა/შევსება ხდება ტექსტის შესწავლის პროცესში, ყოველი ნაწილის დასრულებისას, შესაბამისი კითხვების დამუშავებით (იხ.სახელმძღვანელო).

ნაბიჯი 2.

რა ზეგავლენას ახდენს ისტორიული კონტექსტი თქვენს მოთხრობაში ასახული კონფლიქტის ხასიათზე (**კონტექსტი, კომპოზიცია**).

აქტივობა 1. მუშაობა „შუშანიკის წამების“ ისტორიულ კონტექსტზე.

რესურსი 1. მეხუთე საუკუნის ქართლი.

სახელმძღვანელო, გვ.22

კითხვები:

- რატომ მიიჩნევა ჰაგიოგრაფიული ტექსტი ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ?
- რა პოლიტიკური და სოციალური ვითარებაა მეხუთე საუკუნის საქართველოში და როგორ აისახება იგი ნაწარმოებში? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით)
- როგორ ფიქრობთ, რამდენად გასაგები იქნებოდა თქვენთვის ეს ნაწარმოები ეპოქის მსოფლმხედველობის, ფასეულობების, ისტორიული რეალიების გათვალისწინების/ცოდნის გარეშე? (პასუხი დაასაბუთეთ კონკრეტულ ეპიზოდებზე დაყრდნობით)

ნაბიჯი 3.

რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მოთხრობაა, რა ნაწილებისაგან შედგება იგი (ჟანრი, კომპოზიცია).

აქტივობა 1. მოთხრობის ჟანრობრივი მახასიათებლების გახსენება.

კითხვები:

- გაიხსენეთ მოთხრობის შემადგენელი ნაწილები.
- გამოყავით „შუშანიკის წამებაში“ მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები და იმსჯელეთ, რა არის გადმოცემული თითოეულ მათგანში?
- როგორ გამოიყენებთ ჟანრობრივი მახასიათებლებისა და პერსონაჟის ხატვის ხერხებზე დაკვირვებით მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას ნამუშევრის შექმნისას?

აქტივობა 2. იდეების გენერირება, შავი მონახაზის (პირველადი ვერსიის) შექმნა, ნაშრომის გაუმჯობესება, მოთხრობის წარდგენა.

კითხვები:

- ვინ იქნებიან მოთხრობის პერსონაჟები?
- ვინ იქნება მთხრობელი– ავტორი თუ პერსონაჟი?
- როდის, რა ეტაპზე გამოიკვეთებიან ურთიერთსაპირისპირო პერსონაჟები და კონფლიქტის დასაწყისი მოთხრობაში?
- როგორ დაიწყება, გაგრძელდება და დასრულდება მოთხრობა?
- როგორ შეენაცვლება თხრობა და აღწერა ერთმანეთს?
- სად და როგორ გამოჩნდება/აისახება ისტორიული ფონი მოთხრობაში?
- რა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები იქნება გამოყენებული მოთხრობაში?
- როგორ აისახა ჟანრის მახასიათებლებზე, პერსონაჟის ხატვის ხერხებსა და მხატვრულ სახეებზე მუშაობა ნაშრომის ხარისხზე ?
- როგორ გავაუმჯობესო თავდაპირველი ვარიანტი დავალების მითითებებზე დაყრდნობით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N3
სამიზნე ცნება – კომპოზიცია კონტექსტი (შედეგი: 1,3,4,6,7; 2, 5) **ქვეცნება** – კონფლიქტი, პერსონაჟთა სახეები, ავტორის ხედვის კუთხე, თანადროული ეპოქის ისტორიული რეალიები, მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთეკური ორიენტირები.	**საკითხი** – შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით ზეპირი გამოსვლის მომზადება თემაზე: „შუშანიკი და ანტიგონე – ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები“. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ, რა ხერხების გამოყენებით მოვამზადო შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკი და ანტიგონე – ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები“. **კომპლექსური დავალება –** შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკი და ანტიგონე – ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები“. გამოსვლაში უნდა ისაუბროთ იმაზე, რა აქვთ საერთო ამ სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებთა პერსონაჟებს. რით არიან ისინი მნიშვნელოვანი და საინტერესო დღევანდელი მკითხველისათვის.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა.	• რა ისტორიული კონტექსტის პირობებში მოქმედებენ პერსონაჟები (**კონტექსტი**); • რას უპირისპირდებიან გმირები; ჩანს თუ არა მათ სიტყვასა და საქმეში შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, წამიერი სისუსტე და დაეჭვება არჩეული გზის სისწორეში (**კომპოზიცია**);

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით.
3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის.
4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

კონტექსტი

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

- კიდევ რა თვისებებს გამოყოფდით პერსონაჟთა ხასიათში, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან; როგორ ავლენენ თავს სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაში (**კომპოზიცია**);
- რით არის საინტერესო ეს ორი პერსონაჟი თანამედროვე მკითხველისათვის (**კონტექსტი**).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- რა არის ტირანია და რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს ის საზოგადოებისა თუ კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში?
- რა ასაზრდოებს ტირანიას და როგორ შეიძლება, თქვენი აზრით, მისი დამარცხება?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

რა ისტორიული კონტექსტის პირობებში მოქმედებენ პერსონაჟები (**კონტექსტი**);

აქტივობა 1. მუშაობა სახელმძღვანელოს რუბრიკაში – ლიტერატურული პარალელი – მოცემულ ტექსტზე: „ანტიგონე“.

რესურსი 1. სახელმძღვანელო, ლიტერატურული პარალელი.

გვ. 61,62

კითხვები:

- ვინ იყო ანტიგონე და რომელი დრამატურგის პიესაში გამოჩნდა ის პირველად, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი?
- რა მოხდა თებეში და ვისი ბრძანების აღსრულებას აღუდგა წინ ანტიგონე?
- რატომ დაიმსახურა ამ სპექტაკლმა ათენელ მოქალაქეთა დიდი მოწონება? განპირობებული იყო თუ არა მათი დამოკიდებულება ისტორიული კონტექსტით (მაგალითად, ათენელთა პოლიტიკური გემოვნებით)?
- კიდევ როდის შეისხა ხორცი ლიტერატურაში ბერძნული მითის ამ დაუვიწყარმა პერსონაჟმა?
- როგორ ფიქრობთ, განპირობებული იყო თუ არა ეს ფაქტი არსებული ისტორიული ვითარებით?

ნაბიჯი 2.

- რას უპირისპირდებიან გმირები; ჩანს თუ არა მათ სიტყვასა და საქმეში შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, წამიერი სისუსტე და დაეჭვება არჩეული გზის სისწორეში **(კომპოზიცია)**;
- კიდევ რა თვისებებს გამოყოფდით პერსონაჟთა ხასიათში, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან; როგორ ავლენენ თავს სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაში **(კომპოზიცია)**;
- რით არის საინტერესო ეს ორი პერსონაჟის თანამედროვე მკითხველისათვის **(კონ-ტექსტი)**.

აქტივობა 1. სამიდან ერთ-ერთ წყაროზე მუშაობა.

რესურსი 1.

1. ანტიგონე, სოფოკლე, ტრაგედიები, გამომცემლობა ლოგოსი, 2016 წ.

შენიშვნა: სოფოკლეს „ანტიგონე“ (ოღონდ არა ზემოთ მითთებული გამოცემა) ხელმი-საწვდომია ინტერნეტში.

2. ჟან ანუის „ანტიგონეს“ ქართული თარგმანი იხ. ოთარ ჭილაძის თხზულებათა მე-9 ტომში.
3. ჟან ანუის „ანტიგონე“, მესხეთის თეატრის სპექტაკლი, რომელიც 2014 წელს დაიდგა, ჩანაწერის სახით ხელმისაწვდომია ინტერნეტში (რეჟისორი — იოსებ ნემსაძე, კრეონტი — კახა გოგიძე, ანტიგონე — ჯუნა თუმანიშვილი, პოლინიკე — ნიკოლოზ გოგიძე, ჩაფარი — მანუჩარ გომელაური).

კითხვები:

- როგორ ვეცნობით მთავარ გმირს, ვისთან ერთად ჩნდება ის პირველად სცენაზე და რას ვიგებთ მათი საუბრიდან?
- რას აპირებს ანტიგონე და როგორ ხსნის საკუთარ გადაწყვეტილებას?
- ვინ ცდილობს, გადააფიქრებინოს მას ეს განზრახვა და რა მოტივით?
- ჩანს თუ არა ნაწარმოებში მთავარი გმირის წამიერი სისუსტე, დაეჭვება საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ იჩენს კრეონი ასეთ სისასტიკეს ანტიგონეს მიმართ, რა საფრთხეს შეიცავს, მისი აზრით, გოგონას საქციელი?
- ვინ ესარჩლება ანტიგონეს და რა შედეგით მთავრდება ეს გამოსარჩლება?
- ვინ იღუპება ანტიგონესთან ერთად?

აქტივობა 2. წყაროზე მუშაობა.

რესურსი 1. ლევან გიგინეიშვილის ვიდეოლექცია „ორი ანტიგონე“ (ხელმისაწვდომია ინტერნეტში).

კითხვები:

- რა მსგავს და განმასხვავებელ დეტალებს გამოყოფს მოსაუბრე ამ ორ ტექსტში, რაზე ამახვილებს ის განსაკუთრებულად ყურადღებას?

რესურსი 2. პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვების ცხრილი.

შუშანიკი	ანტიგონე	მკითხველის კომენტარი/შეფასება

კითხვები:

- რა აერთიანებს ამ ორი სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოების პერსონაჟებს?
- რამდენად აქვთ გაცნობიერებული, რა მსხვერპლზე მიდიან და რა მოელით, ჩანს თუ არა მათ საქციელსა და სიტყვებში სინანული?
- როგორ იქცევიან მათ ირგვლივ მყოფი ადამიანები?
- რა პასუხს სცემენ ისინი ამ ადამიანებს?
- რა არგუმენტი მოყავთ საკუთარი საქციელის გასამართლებლად?
- რა დამოკიდებულება აქვთ მათ სხვა პერსონაჟების მიმართ, როგორ ეპყრობიან მათ?
- რომელი მათგანის მოქმედება ჩანს წინასწარ შემზადებული და რომელი მოქმედებს სპონტანურად, გულისთქმის კარნახით?
- რა შედეგი გამოიღო, თქვენი აზრით, მათმა თავგანწირვამ?
- რით არის საინტერესო ეს ორი პერსონაჟი თანამედროვე მკითხველისათვის?

აქტივობა 3. იდეების გენერირება, წარდგენის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა.

კითხვები:

- როგორ წარმოაჩენთ ორივე ტექსტის ისტორიულ კონტექსტს?
- როგორ გამოკვეთთ პერსონაჟთა შინაგან სამყაროს, მათ შორის მსგავსება-განსხვავებას?
- როგორ/ რა ხერხებით დაასაბუთებთ იმას, რომ ეს პერსონაჟები საინტერესონი არიან თანამედროვე მკითხველისთვის?

- რამდენად არგუმენტირებულია ჩემი ზეპირი გამოსვლის მთავარი დებულება?
- სწორად მოვიხმე თუ არა ციტატები და ეპიზოდები ნაწარმოებებიდან?
- ხომ არ გამომრჩა რაიმე მნიშვნელოვანი სათქმელი?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N4
სამიზნე ცნება – კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები კონტექსტი (შედეგი 1,3,4,6,7 4,6,7 2,5). **ქვეცნება** – თემა, პერსონაჟი, საორგანიზაციო ყალიბი, რიტორიკის ელემენტები,ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.	**საკითხი** – პირადი მოსაზრების გამომხატველი ესეს დაწერა თემაზე: „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ დავწერო პირადი მოსაზრების ამსახველი ესე გმირისა და ანტიგმირის შესახებ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში? როგორ გამოვკვეთო მსგავსება-განსხვავება მათ შორის კონტექსტის გათვალისწინებით? **კომპლექსური დავალება –** იაკობ ხუცესის ნაწარმოების „შუშანიკის წამება“ მინიშნებებზე დაყრდნობით დაწერეთ პირადი მოსაზრების ამსახველი ესე თემაზე: „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“, რომელშიც გადმოსცემთ საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ ვინ მიგაჩნიათ „გმირად“ და „ანტიგმირად“ თანამედროვე სამყაროში (შეგიძლიათ იმსჯელოთ როგორც თანამედროვე ლიტერატურულ ან კინოგმირზე, ასევე-რეალურად არსებულ ადამიანზე). ამისათვის: • წარმოაჩინეთ, რა თვისებებით ხასიათდება გმირი და ანტიგმირი „შუშანიკის წამებაში“; • ნაწარმოებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ ის მახასიათებლები, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისათვის, იმსჯელეთ, კიდევ რა თვისებებია საჭირო დღევანდელი გმირისათვის; • ვინ შეიძლება მივიჩნიოთ დღეს ანტი-გმირად, რა თვისებებით ხასიათდება იგი; • ისაუბრეთ კონკრეტულ პიროვნებაზე (ფილმებიდან, მხატვრული ტექსტებიდან, რეალური

	ცხოვრებიდან), რომელსაც დღეს უწოდებდით გმირს, რატომ მიგაჩნიათ იგი ასეთად, რა დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე, რა პიროვნული თვისებებით გამოირჩევა, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მისადმი; • გამოკვეთეთ თქვენი მოსაზრებები და დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით გამყარებული არგუმენტებით; • გაითვალისწინეთ თხზულების სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. • წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის.	• ახსენით, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პირადი მოსაზრების ამსახველი ესეა (**კომპოზიცია**); • შეიცვალა თუ არა ტექსტის თქვენეული გააზრება საკითხის თანამედროვე კონტექსტში წარმოდგენისას, კონკრეტულად რა და რატომ (**კომპოზიცია, კონტექსტი**).

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

კონტექსტი

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თქვენი აზრით, ვის შეიძლება დღეს ეწოდოს გმირი? რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ მას გმირი უწოდოთ?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. შეიცვალა თუ არა ტექსტის თქვენეული გააზრება საკითხის თანამედროვე კონტექსტში წარმოდგენისას, კონკრეტულად რა და რატომ (**კომპოზიცია, კონტექსტი**).

აქტივობა 1. მუშაობა მხატვრული ანალიზის ელემენტებზე.
გმირი და ანტიგმირი (გახსენება).

რესურსი 1. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“ .
სახელმძღვანელო, გვ. 22.

კითხვები:

- ვინ არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი?
- რა ფუნქცია აკისრია ჰაგიოგრაფიულ ტექსტში ანტიგმირს?

აქტივობა 2. ტექსტზე დაკვირვება კონკრეტული მიზნით:
პერსონაჟებზე დაკვირვება.

რესურსი 2. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“.
სახელმძღვანელო, გვ. 26-69

რესურსი 3. პერსონაჟის მახასიათებლებზე დაკვირვების ცხრილი.

პერსონაჟი	მახასიათებლები	ფრაზა/მინიშნება ტექსტიდან	მკითხველის კომენტარი/ შეფასება
შუშანიკი			
ვარსქენი			

კითხვები:

- სად და როგორ ჩნდებიან ერთმანეთს დაპირისპირებული პერსონაჟები ტექსტში პირველად?
- დახასიათების რომელ ხერხს იყენებს ავტორი დასაწყისში გმირისა და ანტიგმირის წარმოსაჩენად?
- რა თვისებებით ხასიათდება ნაწარმოებში გმირი? ანტიგმირი?
- ჩამოთვლილთაგან რომელია თვისებები, რომლებიც თანამედროვე გმირსაც უნდა ახასიათებდეს, ანუ რომელ მათგანს არ დაუკარგავს აქტუალურობა დღესაც?
- რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს საზოგადოება ტექსტში გმირისადმი (პასუხი დაასაბუთეთ)?
- დღეს როგორ ეპყრობიან გმირებს, გამორჩეულ ადამიანებს?
- რა დამატებითი უარყოფითი მახასიათებლები შეიძინა ანტიგმირმა თანამედროვე ეპოქაში? ადვილად იცნობა იგი, თუ გარკვეული დრო და სიტუაცია სჭირდება მისი ზრახვების გამჟღავნებას? როგორია ანტიგმირისადმი საზოგადოების დამოკიდებულება?

შენიშვნა: ცხრილზე მუშაობა/შევსება ხდება ტექსტის შესწავლის პროცესში, ყოველი ნაწილის დასრულებისას, შესაბამისი კითხვების დამუშავებით (იხ.სახელმძღვანელო)

ნაბიჯი 2. ახსენით, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პირადი მოსაზრების ამსახველი ესეა (**კომპოზიცია**).

აქტივობა 1. იდეების გენერირება, შავი მონახაზის (პირველადი ვერსიის) შექმნა, ნაშრომის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ საკუთარ მოსაზრებას სამსჯელო საკითხზე თხზულების შესავალში?

- გმირობის რომელ მახასიათებლებს გამოკვეთთ ტექსტში და როგორ დაუკავშირებთ მათ თანამედროვე კონტექსტს (დღევანდელ გმირს) თხზულების ძირითად ნაწილში?
- ანტიგმირის რომელ მახასიათებლებს გამოკვეთთ ტექსტში და როგორ დაუკავშირებთ მათ თანამედროვე კონტექსტს?
- რომელ კონკრეტულ თანამედროვე პიროვნებებზე ისაუბრებთ გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლებზე მსჯელობისას?
- რას დაეყრდნობა თქვენი თხზულების ბოლო, დასკვნითი ნაწილი?
- როგორ დაგეხმარებათ პერსონაჟის მახასიათებლებზე მუშაობა თქვენი ნაშრომის წერისას?

- როგორ/რა ხერხების გამოყენებით დავწერო თავდაპირველი ვარიანტი?
- რამდენად გამოვკვეთე საკუთარი მოსაზრება/დამოკიდებულება სამსჯელო საკითხისადმი, რამდენად შევძელი თანამედროვეობის კონტექსტში მისი გააზრება?
- როგორ, გავაუმჯობესო თავდაპირველი ვარიანტი დავალების მითითებებზე დაყრდნობით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N5
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია (შედეგი: 1,4,6,7; 1,3,4,6,7) ქვეცნება — ჰაგიოგრაფიული ტექსტის ჟანრობრივი სეციფიკა, თემა, იდეა, პერსონაჟთა სახეები, ავტორის ხედვის კუთხე.	**საკითხი** – იოანე საბანისძის ნაწარმოების, „აბოს წამება“ მომზადება მკითხველის თეატრში წარსადგენად. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ, რა ხერხების გამოყენებით მოვამზადო „აბოს წამება“ მკითხველის თეატრში წარსადგენად? როგორ შევძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის კითხვისას? **კომპლექსური დავალება** – მოამზადეთ იოანე საბანისძის „აბოს წამება“ <u>მკითხველის თეატრში</u> წარსადგენად. ამისათვის: ჯგუფებმა დაინაწილეთ თავები, ჯგუფის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეთ თითოეული თავის ინტონაცია და შესაბამისად გადაუნაწილეთ ჯგუფის წევრებს; მსმენელებმა „მსახიობები“ შეაფასეთ წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების მიხედვით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროატექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერ-	• რამდენად აისახა თქვენს ინტონაციაში თითოეული თავის ჟანრობრივი სპეციფიკა (**ჟანრი, კომპოზიცია**); • რამდენად და როგორ გადმოეცით/ გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ტექსტის ამა თუ იმ პასაჟის/დეტალის/ პერსონაჟის მიმართ (**კითხვის ტემპი, ხმის აწევ-დაწევა, ინტონაცია, მიმიკა**) (**კომპოზიცია**); • რამდენად და როგორ დაგეხმარათ „მკითხველის თეატრი“ ნაწარმოების უკეთ გააზრებაში, რა აღმოაჩინეთ მასში ახალი, რა დაინახეთ განსხვავებული კუთხით (**კომპოზიცია**).

სონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის,იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თუ განგიცდიათ ოდესმე ძლიერი შიში?
- შეგიძლიათ აღწეროთ, რა არის შიში, ანუ რას გრძნობს შეშინებული ადამიანი?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა შიშის დაძლევა?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

რამდენად და როგორ დაგეხმარათ „მკითხველის თეატრი“ ნაწარმოების უკეთ გააზრებაში, რა აღმოაჩინეთ მასში ახალი, რა დაინახეთ განსხვავებული კუთხით (კომპოზიცია).

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის წაკითხვამდე დასამუშავებელ საკითხებზე: ავტორი, კომპოზიცია, VIII საუკუნის ქართული, გეოგრაფიული გარემო, სიმბოლო.

რესურსი 1. იოანე საბანისძე, „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი“. სახელმძღვანელო, გვ.69-71

კითხვები:

- საიდან ვიგებთ ცნობებს „აბოს წამების“ ავტორის შესახებ?
- ვისი თხოვნითა და რა მიზნით დაიწერა „აბოს წამება“?
- რითია გამორჩეული/განსხვავებული „აბოს წამება“ ჟანრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით სხვა ჰაგიოგრაფიული ტექსტებისაგან?
- რა პოლიტიკურ-სოციალური ვითარებაა VIII საუკუნის საქართველოში?
- სად ვითარდება მოქმედება „აბოს წამებაში“?
- რა არის სიმბოლო და რა განსაკუთრებული როლი აკისრია მას სასულიერო მწერლობაში?

აქტივობა 2. ტექსტზე მუშაობა (**კომენტირებული კითხვის მეთოდით**).

რესურსი 2. იოანე საბანისძე, „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი“. სახელმძღვანელო, გვ. 72-93
თითოეული თავის თანმხლები კითხვები სახელმძღვანელოდან.

აქტივობა 3. მუშაობა ენობრივ-გამომსახველობით ხერხებზე.

რესურსი 3. ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვების ცხრილი

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (სიმბოლოები)	რა ფუნქციით იყენებს ავტორი	მკითხველის კომენტარი/შეფასება

შენიშვნა: ცხრილზე მუშაობა/შევსება ხდება ტექსტის შესწავლის პროცესში, ყოველი ნაწილის დასრულებისას.

კითხვები:

- რომელ ენობრივ ფიგურებსა და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს იყენებს ავტორი ტექსტში?
- თქვენი აზრით, სად, რომელ თავებშია გამოხატვის ამგვარი ხერხების სიჭარბე, თხრობით ნაწილში თუ ქადაგებასა და ქების ტექსტში? პასუხი დაასაბუთეთ და ახსენით მიზეზი.

ნაბიჯი 2. რამდენად აისახა თქვენს ინტონაციაში თითოეული თავის ჟანრობრივი სპეციფიკა **(ჟანრი, კომპოზიცია)**; რამდენად და როგორ გადმოეცით/გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ტექსტის ამა თუ იმ პასაჟის/დეტალის მიმართ (კითხვის ტემპი, ხმის აწევ-დაწევა, ინტონაცია, მიმიკა) **(კომპოზიცია)**.

აქტივობა 1. იდეების გენერირება, წარდგენის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა

რესურსი: შეფასების ფურცელი

შეფასების კრიტერიუმი	**დიახ**	**ნაწილობრივ**	**არა**
ხმა, მეტყველების ტემპი, ინტონაცია ზუსტად შეესაბამება წარდგენილი თავის ჟანრის სპეციფიკას.			
ხმის სიმაღლითა და ჟღერადობით ზუსტად გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხული პასაჟისადმი.			
მეტყველებს გასაგებად, სახის გამომეტყველება ზუსტად შეესაბამება წაკითხულ მონაკვეთს, ინარჩუნებს კონტაქტს აუდიტორიასთან.			

კითხვები:

- სასულიერო მწერლობის რომელ ჟანრს განეკუთვნება ნაწარმოების პირველი თავი?
- როგორი ინტონაციით უნდა იქნას იგი წაკითხული?
- რა ინტონაციას გამოიყენებთ ქების თხრობის წარდგენისას, ანუ — მეორე და მესამე თავებში?
- როგორ ასახავთ მეოთხე თავის, ჰიმნოგრაფიული ტექსტის, ამაღლებულ განწყობას კითხვისას?
- როგორ დაგეხმარათ დავალებისთვის მზადება ტექსტის სიღრმისეულ გააზრებაში? (პასუხი დაასაბუთეთ).
- როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევძლო აუდიტორიასთან მუდმივი კონტაქტი?
- რამდენად გამოვკვეთე საკუთარი მოსაზრება/დამოკიდებულება წასაკითხი ეპიზოდისადმი?
- როგორ დამეხმარება შეფასების ფურცელი ჩემი წარდგენის გაუმჯობესებაში?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N6
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგი: 1, 4, 6, 7; 1, 3, 4, 6, 7; 4, 6, 7) **ქვეცნება** – არამხატვრული ნაწარმოებები: სამეცნიერო სტატია, მულტიმედიური ტექსტი, საინფორმაციო მოხსენება; ძირითადი საკითხი, ტექსტის სტრუქტურული ელემენტები, საორგანიზაციო ყალიბები: მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, შედარება-შეპირისპირება; ფუნქციური სტილი: სამეცნიერო, სასაუბრო; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები.	**საკითხი** – მითითებულ წყაროზე დაყრდნობით ზეპირი გამოსვლის მომზადება თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“. საკვანძო შეკითხვა – როგორ, რა ხერხების გამოყენებით მოვამზადო მითითებულ წყაროზე დაყრდნობით ზეპირი გამოსვლა თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“. **კომპლექსური დავალება** – მითითებულ წყაროზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება.“ წყარო: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ვიდეო „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“ (ხელმისაწვდომია ინტერნეტში). ზეპირი გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს, ამისათვის: • ყურადღებით უნდა დაამუშაოთ წყარო და გამიჯნოთ ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია; • კერძოდ, წყაროს დამუშავებისას ყურადღება მიაქციეთ შემდეგ საკითხს: რა განსხვავებაა რელიგიის თავისუფლებასა და რწმენის თავისუფლებას შორის; • ასევე ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხზე: რა საერთოა რელიგიის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	• რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მითითებული წყაროს მოკლე შინაარსის გადმოცემა კი არ არის, მისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი პროდუქტია **(ჟანრი, კომპოზიცია);** • რა ვერბალური და არავერბალური ხერხების საშუალებით ეხმარებით მსმენელს მიწოდებული ინფორმაციის აღქმაში **(ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)**.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა რწმენისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის?
- რომელი მათგანი შეიძლება შეიზღუდოს კანონით?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მითითებული წყაროს მოკლე შინაარსის გადმოცემა კი არ არის, მისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი პროდუქტია (**ჟანრი, კომპოზიცია**);

აქტივობა 1. მუშაობა მითითებულ წყაროზე.

რესურსი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ვიდეო „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“ (ხელმისაწვდომია ინტერნეტში. იძებნება სათაურით გუგლის საძიები სისტემაში და შემდეგ „ვიდეოს“ მითითებით).

კითხვები:

- რა საერთოა რელიგიის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?
- არის თუ არა დაცული საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ეს ფუნდამენტური უფლებები?
- რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ორივე მათგანი?
- რა არის დასჯადი არადემოკრატიულ ქვეყნებში და რას ეწინააღმდეგება მკრეხელობის შესახებ კანონები?
- როგორ უნდა დავუპირისპირდეთ მიუღებელ აზრს ან სწავლებას?

ნაბიჯი 2.

რა ვერბალური და არავერბალური ხერხების საშუალებით ეხმარებით მსმენელს მიწოდებული ინფორმაციის აღქმაში (**ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშ.**).

აქტივობა 1. იდეების გენერირება, წარდგენის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა.

კითხვები:

- როგორ დავალაგო მოძიებული ინფორმაცია, მოცემული კითხვების მიხედვით თუ რაიმე სხვა ხერხს მივმართო?
- როგორ გავუიოლო ვიზუალური მასალის საშუალებით მსმენელს მიწოდებული ინფორმაციის აღქმა: წარმოვადგინო ძირითადი დებულებები „პაუერ პოინტში“, ჩემი ხელით შექმნილი პლაკატები გამოვიყენო თუ დაფაზე სახელდახელო ჩანაწერების ხერხს მივმართო?
- როდის და სად გამოვიყენო ნათქვამის უკეთ წარმოჩენის ვერბალური ხერხები: მთავარის ხაზგასმა ხმის ინტონაციით, სიტყვის ცალკეული ნაწილების გამეორება, მნიშვნელობის ხაზგასმა კითხვებით, მიზეზ-შედეგობრივი სინტაქსური კონსტრუქციები?
- სრულყოფილად ავსახე თემის შინაარსი? ხომ არ გამომრჩა რაიმე მნიშვნელოვანი?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N7
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგი: 1,4,6,7; 1,3,4,6,7; 4,6,7) **ქვეცნება** – მოთხრობის ჟანრობრივი სპეციფიკა, თემა, იდეა, პერსონაჟები, სტილი/სტილიზაცია.	**საკითხი** – სტილიზებული მხატვრული ტექსტის შეთხზვა ნოდარ წულეისკირის რომანის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ნაწყვეტზე დაყრდნობით. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ, რა ხერხების გამოყენებით დავწერო მხატვრული ტექსტი სტილიზაციის ხერხის გამოყენებით ნოდარ წულეისკირის რომანის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ნაწყვეტზე დაყრდნობით? **კომპლექსური დავალება –** დაწერეთ მხატვრული ტექსტი სტილიზაციის ხერხის გამოყენებით. შეარჩიეთ ჟანრი: ისტორიული ან იუმორისტული მოთხრობა (სატირა, კომედია); შესაბამისად გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი – ისტორიული კოლორიტის გადმოსაცემად ან კომიკური ეფექტის შესაქმნელად. ამისათვის: • გაითვალისწინეთ შესაბამისი ჟანრის მახასიათებლები; • შეარჩიეთ მოქმედების დრო, ადგილი; • წარმოაჩინეთ პერსონაჟები, მათი განცდები, ურთიერთდამოკიდებულებები, ფასეულობები; • გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი მიზნისა და თქვენი ნაწარმოების ჟანრის გათვალისწინებით, კერძოდ, თუ კომიკური ეფექტის შექმნა არა გაქვთ მიზნად, თხზულების ფორმასა და შინაარსს შორის არ უნდა იყოს შეუსაბამობა.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	• რატომ შეარჩიეთ ეს ჟანრი და რა მიზნით გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი (**ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**); • რამდენად და როგორ დაგეხმარათ ნოდარ წულეისკირის რომანის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ნაწყვეტის გაცნობა სტილიზაციის ხერხის გააზრებაში (**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები	
1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3..ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისცოდნამნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით ქმნის თანამედროვე ავტორი ნაწარმოებს, რომლის პერსონაჟები ისტორიული გმირები არიან?
- როგორ ახერხებს ის ისტორიული ატმოსფეროს გადმოცემას ნაწარმოებში?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

რამდენად და როგორ დაგეხმარათ ნოდარ წულეისკირის რომანის „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ ნაწყვეტის გაცნობა სტილიზაციის ხერხის გააზრებაში (**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**).

აქტივობა 1. ტექსტის გაცნობა

რესურსი 1. ნოდარ წულეისკირი, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“.

სახელმძღვანელო, გვ. 96-104.

კითხვები:

- როგორ შეისხა ხორცი იოანე საბანისძის მხატვრულმა სახემ: „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ ნოდარ წულეისკირის რომანის ამ ნაწყვეტში?
- რისთვის შემოიყვანა მწერალმა ანო მოთხრობაში?
- რა დანიშნულება აქვს ჯვრისწერას ამ ნაწარმოებში, რა შეიცვალა ამით აბოს მხატვრულ სახეში?
- რატომ მიიღო მწერალმა ასეთი გადაწყვეტილება?

აქტივობა 3. მუშაობა ენობრივ-გამომსახველობით ხერხებზე — სტილიზაცია.

რესურსი 2. სტილიზაცია ისტორიული შინაარსის თხზულებებში.

სახელმძღვანელო, გვ. 108.

რესურსი 3. სტილიზაციის ნიმუშების ამოწერა ტექსტიდან და მათი ფუნქციის გარკვევა.

სტილიზაციის ხერხის გამოყენების მაგალითები ტექსტში	რა ფუნქციითაა გამოყენებული	ჩემი კომენტარი

აქტივობა 4. არქაული სტილის ფუნქციის გარკვევა ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანის?!“ მოცემულ ნაწყვეტში.

რესურსი 4. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო: თუმცა დიდად ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგან ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე ნეტარითა სიძოობითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა...

სხვებრ ბრძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას, რომელიცა რომა მსურს ნახვა. თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანის ძე გძელაძე“.

(ილია ჭავჭავაძე, „კაცია – ადამიანი?!“ მოსე გძელაძის წერილი ლუარსაბისადმი)

კითხვები:

- რას ეწოდება სტილი და მის რომელ ნაირსახეობებს ვიცნობთ?
- როგორ, რაზე დაკვირვებით უნდა განვსაზღვროთ ავტორის სტილი?
- რა არის სტილიზაცია და უმეტესად რომელ ტექსტებში იყენებენ ამ ხერხს მწერლები?
- რა ფუნქცია ეკისრება ტექსტებში სტილიზაციას?
- ვის სიტყვებში იჩენს თავს სტილიზაცია, ავტორის/მთხრობლის თუ პერსონაჟისა?
- რა დატვირთვას ანიჭებს, რა ფუნქციით იყენებს ავტორი არქაულ მეტყველებას?
- ლექსიკური არქაიზმები ჭარბობს ტექსტში თუ სინტაქსური (სიტყვათა წყობა)?
- რითი აღწევს ილია ჭავჭავაძე კომიკურ ეფექტს, ანუ რა ხდის სასაცილოს ამ წერილს?
- რა დანიშნულება აქვს არქაული სტილის გამოყენებას მოსე გძელაძის წერილში?

ნაბიჯი 2. რატომ შეარჩიეთ ეს ჟანრი და რა მიზნით გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

აქტივობა 1. იდეების გენერირება, ნაშრომის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა.

კითხვები:

- რა მიზნით გამოიყენებთ სტილიზაციის ხერხს თქვენს მოთხრობაში, ისტორიული კოლორიტის შესაქმნელად თუ კომიკური ეფექტისთვის?
- ვინ იქნებიან თქვენი მოთხრობის პერსონაჟები?
- ვინ იქნება მთხრობელი, ავტორი თუ პერსონაჟი?
- როგორ დაიწყებთ, გააგრძელებთ და დაასრულებთ თქვენს მოთხრობას?
- კიდევ რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს გამოიყენებთ მოთხრობაში?
- როგორ დაგეხმარათ დავალებისთვის მზადება სტილიზაციის ხერხის გააზრებაში? (პასუხი დაასაბუთეთ).

- როგორ, გავაუმჯობესო თავდაპირველი ვარიანტი დავალების მითითებებზე დაყრდნობით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N8
სამიზნე ცნება – კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები კონტექსტი (შედეგი 1,3,4,6,7; 4,6,7; 2,5). **ქვეცნება** – თემა, დედააზრი, პერსონაჟი, სტრუქტურა, მიზანი, აუდიტორია, ეპოქის პრობლემატიკა, თანამედროვე კონტექსტი.	**საკითხი** – საინფორმაციო-ანალიტიკური ტექსტის დაწერა გაზეთისთვის გიორგი მერჩულის ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღმოჩენისა და მნიშვნელობის შესახებ. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ დავწერო საგაზეთო სტატია, რომლითაც საზოგადოებას ვაუწყებ გიორგი მერჩულის ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღმოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ? როგორ, რა ხერხებით დავარწმუნო მკითხველი ლიტერატურული ძეგლისა და თავად გრიგოლ ხანძთელის პიროვნების აქტუალურობაში თანამედროვე ეპოქისათვის? **კომპლექსური დავალება –** წარმოიდგინეთ თავი ნიკო ჩუბინაშვილის ადგილას და დაწერეთ <u>საგაზეთო სტატია</u>, რომელშიც ქართულ საზოგადოებას მოუთხრობთ თქვენ მიერ ახლად აღმოჩენილი თხზულების გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და მისი მნიშვნელობის შესახებ. სტატიაში: • ისაუბრეთ ავტორზე, ნაწარმოების შექმნის ადგილზე, დროზე, როგორ და რატომ დაიწერა ეს თხზულება; • დაახასიათეთ ნაწარმოების ჟანრი და კომპოზიციის თავისებურება; • წარმოაჩინეთ მთავარი პერსონაჟის ავტორისეული დახასიათება, კერძოდ, რომელ სახე-სიმბოლოს იყენებს იგი მისი ღვაწლის შესაფასებლად; • ისაუბრეთ, რა მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული და რომელი ისტორიული პიროვნებების შესახებ მოგვითხრობს ტექსტი; • აღწერეთ VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორიული ვითარება და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის

	მნიშვნელობა ამ პერიოდში; • გამოკვეთეთ თქვენი დამოკიდებულება ტექსტში წარმოჩენილი იმ მარადიული ფასეულობებისადმი, რომლებიც აქტუალურია დღესაც; • გაითვალისწინეთ აუდიტორია, გამოიყენეთ შესაბამისი ლექსიკა და სტილი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	• რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი დააინტერესებს და სრულყოფილ შთაბეჭდილებას შეუქმნის გაზეთის მკითხველს გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესახებ (**კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი ხერხები**); • რამდენად და როგორ გამოკვეთეთ ლიტერატურული ძეგლისა და თავად გრიგოლ ხანძთელის პიროვნების მნიშვნელობა VIII-IX საუკუნეების საქართველოსა და თანამედროვეობის კონტექსტში (**კომპოზიცია, კონტექსტი**).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

კონტექსტი

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თქვენ უკვე შეისწავლეთ ორი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურებიან/ეწირებიან ამ ნაწარმოებების მთავარი გმირები და რა ისეთი ადამიანური ფასეულობებია წარმოჩენილი ამ ტექსტებში, რომლებიც არასდროს დაკარგავს თავიანთ მნიშვნელობას?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1 .
რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი დააინტერესებს და სრულყოფილ შთაბეჭდილებას შეუქმნის გაზეთის მკითხველს გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესახებ (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი ხერხები).

აქტივობა 1. მუშაობა თემებზე: ავტორი, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანა, ჟანრი, სივრცული გარემო.

რესურსი 1. ტექსტის შესწავლამდე დასამუშავებელი საკითხები.

სახელმძღვანელო, გვ. 113-114

კითხვები:

- საიდან ვიგებთ ცნობებს ძეგლის ავტორის შესახებ?
- რას ნიშნავს მერჩულე და როდის დაიწერა ნაწარმოები?
- როგორი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ვითარება იყო VIII-IX საუკუნეების საქართველოში, ტექსტის მიხედვით?
- ვის კარზე გაიზარდა გრიგოლ ხანძთელი და, თქვენი აზრით, როგორ განაპირობა ამ ფაქტმა მისი მომავალი მოღვაწეობა?
- რა მსგავსება-განსხვავებაა წამებათა და ცხოვრებათა ჟანრს შორის?
- სად, რომელ ადგილებში იშლება მოქმედება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“?
- როგორ წარმოჩნდა ნაწარმოებში ქართველთა სწრაფვა დასავლეთისაკენ?
- რატომ ირჩევენ ბერები უკაცრიელ ადგილებს თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზად?

- რა ფუნქცია ენიჭება პეიზაჟს/ბუნების აღწერას ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში (გაიხსენეთ „შუშანიკის წამების“ შესაბამისი პასაჟი)?

აქტივობა 2. მუშაობა მხატვრული ანალიზის ელემენტებსა და კითხვის სტრატეგიაზე

რესურსი 2. კომპოზიცია, პერიფრაზირება.

სახელმძღვანელო, გვ.115.

კითხვები:

- რა განაპირობებს მხატვრული ტექსტის კომპოზიციას?
- რა გვეხმარება შინაარსის სწორად გაგებასა და გადმოცემაში?

აქტივობა 3. ტექსტის გაცნობა (კომენტირებული კითხვა, თანდართულ კითხვებზე მუშაობა).

პერსონაჟებზე დაკვირვება, ენობრივ-გამომსახველობით ხერხებზე დაკვირვება.

რესურსი 3. გიორგი მერჩულე, „ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“

სახელმძღვანელო, გვ.116

რესურსი 4. პერსონაჟის მახასიათებლებზე დაკვირვების ცხრილი.

პერსონაჟი	მახასიათებლები	ფრაზა/მინიშნება ტექსტიდან	მკითხველის კომენტარი/ შეფასება

რესურსი 5. ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვების ცხრილი.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (სიმბოლოები)	რა ფუნქციით იყენებს	მკითხველის კომენტარი/შეფასება

კითხვები:

- რითი განსხვავდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აქამდე თქვენთვის ცნობილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისაგან ჟანრის თვალსაზრისით?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არაა დაცული ტექსტში მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა?
- თქვენი აზრით, რატომ შეიტანა სამიჯნურო ეპიზოდები მწერალმა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში?
- რატომ უწოდებს ავტორი გრიგოლ ხანძთელს „ზეცისა კაცსა და ქუყანისა ანგელოზს“?(პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით).
- რომელ ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს იყენებს ავტორი და რა ფუნქციით?
- როგორი ურთიერთობაა საერო და სასულიერო პირთა შორის ასახული ტექსტში? იმსჯელეთ, რატომ დაუთმო ყურადღება ჰაგიოგრაფმა ამ საკითხს თავის ნაწარმოებში.
- რომელი მონასტრები ააშენა გრიგოლმა და რა როლს ასრულებდნენ ისინი იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში?

შენიშვნა: ცხრილზე მუშაობა/შევსება ხდება ტექსტის შესწავლის პროცესში, ყოველი ნაწილის დასრულებისას, შესაბამისი კითხვების დამუშავებით (იხ.სახელმძღვანელო)

ნაბიჯი 2.
რამდენად და როგორ გამოკვეთეთ ლიტერატურული ძეგლისა და თავად გრიგოლ ხანძთელის პიროვნების მნიშვნელობა VIII-IX საუკუნეების საქართველოსა და თანამედროვეობის კონტექსტში (კომპოზიცია, კონტექსტი).

აქტივობა 1. მუშაობა ეპოქის კონტექსტზე.

რესურსი 1. გიორგი მერჩულე, „ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“.

რუბრიკა „ეს საინტერესოა“.

სახელმძღვანელო, გვ.116; გვ.156

კითხვები:

- ვინ, სად და როდის აღმოაჩინა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი?
- რომელი საუკუნის ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული ეს ნაწარმოები?
- ვინ შეისწავლა და გამოსცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“?
- რა პოლიტიკური და სოციალური ვითარებაა VIII-IX საუკუნეების საქართველოში და როგორ აისახება იგი ნაწარმოებში? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით).
- სად და როგორაა ნაწარმოებში ასახული საქართველოს ერთიანობის იდეა?
- რომელი ისტორიული პიროვნებების შესახებ მოგვითხრობს ავტორი? რომელ მათგანს გამოყოფდით და რატომ?

- როგორ შეაფასებთ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის მნიშვნელობას ამ პერიოდში?
- რომელ დიდ ქართველ მოღვაწეებს მიაგებდით გრიგოლ ხანძთელის გვერდით მოხსენიების პატივს?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად გასაგები იქნებოდა თქვენთვის ეს ნაწარმოები ეპოქის მსოფლმხედველობის, ფასეულობების, ისტორიული რეალიების გათვალისწინების/ცოდნის გარეშე? (პასუხი დაასაბუთეთ კონკრეტულ ეპიზოდებზე დაყრდნობით).
- ტექსტში წარმოჩენილ რომელ ფასეულობებს გამოკვეთთ, რომლებიც აქტუალურია დღესაც? (პასუხი დაასაბუთეთ თანამედროვე მაგალითების მოხმობით).

აქტივობა 2. იდეების გენერირება, შავი მონახაზის (პირველადი ვერსიის) შექმნა, ნაშრომის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა

კითხვები:

- როგორ გამოკვეთთ ნაშრომში ისტორიულ ფონს?
- ნაწარმოების რომელ მნიშვნელოვან ეპიზოდებზე გაამახვილებთ ყურადღებას თქვენი სტატიის მკითხველთა დასაინტერესებლად?
- როგორ წარმოაჩენთ გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის მნიშვნელობას მისი თანამედროვე ეპოქისა და დღევანდელობისათვის?
- როგორ დაგეხმარებათ პერსონაჟის ხატვის ხერხებსა და მხატვრულ სახეებზე მუშაობა თქვენი სტატიის შედგენაში?

- როგორ გავაუმჯობესო თავდაპირველი ვარიანტი დავალების მითითებებზე დაყრდნობით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N9
სამიზნე ცნება – ჟანრი კომპოზიცია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგი 1,4,6,7; 1,3,4,6,7; 4,6,7). **ქვეცნება** – არამხატვრული ტექსტი-სარეკლამო ბროშურა; სიტყვიერი ინფორმაცია, არავერბალური ელემენტები; მიზანი, აუდიტორია.	**საკითხი** – საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურის შედგენა გიორგი მერჩულის ნაწარმოებსა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით. **საკვანძო შეკითხვა** – როგორ შევადგინო საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა გიორგი მერჩულის ნაწარმოებსა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით? როგორ, რა ხერხების გამოყენებით დავაინტერესო ფართო საზოგადოება ჩემი ნაშრომით? **კომპლექსური დავალება –** გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ინეტრნეტში მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეადგინეთ საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“, რომლის მიზანიც იქნება ტურისტების დაინტერესება ამ მხარეში მოგზაურობით. ნამუშევარში: • მიუთითეთ მოგზაურობის მარშრუტი (სასურველია, დაურთოთ რუკა); • დაურთეთ ფოტოები ყველა იმ ადგილის, ძეგლის შესახებ, რომლებიც შევა ტურისტულ მარშრუტში, მიაწოდეთ მოგზაურს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ დაარსდა/აშენდა იგი, რითია ეს ძეგლი გამორჩეული; • ინფორმაციის სტრუქტურირებისთვის გამოიყენეთ რუბრიკები და სათაურები, სხვადასხვა ფერისა და ზომის შრიფტი; • მიუთითეთ მოგზაურობისათვის საჭირო დრო და ხარჯები; • შეარჩიეთ შესაბამისი ლექსიკა და სტილი.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ	**შეფასების კრიტერიუმი –** *ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:*
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	• რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ნაშრომი სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურაა; ამ ჟანრის რომელ მახასიათებლებს გამოყოფთ ნამუშევარში (**ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი ხერხები**); • რამდენად და როგორ დაგეხმარათ დავალების შესრულება ტექსტის უკეთ გააზრებაში (**კომპოზიცია**); • რა ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ ბროშურაში პოტენციურ მოგზაურთა მოსაზიდად, რატომ მიგაჩნიათ ისინი ეფექტურად (**კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები	
1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- სად და როგორ შეიძლება ინფორმაციის მოპოვება თქვენთვის უცნობი ადგილის შესახებ?
- რა ტიპის საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქციაა თქვენთვის ცნობილი?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ნაშრომი სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურაა; ამ ჟანრის რომელ მახასიათებლებს გამოყოფთ ნამუშევარში (**ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი ხერხები**);

რამდენად და როგორ დაგეხმარათ დავალების შესრულება ტექსტის უკეთ გააზრებაში ან რა აღმოაჩინეთ მასში ახალი (**კომპოზიცია**);

აქტივობა 1. ტექსტში მოხსენიებული გრიგოლის მიერ აშენებული ეკლესია-მონასტრების შესახებ ინფორმაციის ამოკრება და მისი გადაკეთება ბროშურისთვის.

რესურსი 1. სქემა – ინფორმაციის ამოკრება-კლასიფიცირება.

გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"; სახელმძღვანელო, გვ. 116

ეკლესია-მონასტრები	ინფორმაცია

კითხვები:

- რომელი დეტალები გამოგადგათ ტექსტიდან ბროშურისთვის?
- როგორ გადააკეთეთ შერჩეული ტექსტები ბროშურისთვის?

აქტივობა 2. შუალედურ დავალებაზე მუშაობა. პრეზენტაცია თემაზე: „ტალანტის გამრავლება".

რესურსი 2. სახელმძღვანელო, გვ.159-162.

კითხვები:

- გრიგოლ ხანძთელთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული რომელი არქიტექტურული და ხელნაწერი ძეგლები გაიცანით ამ დავალების შესრულების დროს?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა ამ არქიტექტურული ძეგლების სანახავად ექსკურსიის მოწყობა? სად მდებარეობენ ისინი?
- სად მოგიწევთ ექსკურსიაზე წასვლა, თუკი ხელნაწერი ძეგლების ნახვას მოისურვებთ?
- როგორ დაგეხმარათ ამ დავალების შესრულება გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის უკეთ გააზრებაში?

აქტივობა 3.

რესურსი 3. ინტერნეტრესურსი-გზამკვლევი სვანეთის შესახებ

https://georgiantravelguide.com/ka/svaneti

კითხვები:

- რა არის ამ ბუკლეტის მიზანი?
- რომელი რუბრიკებია გამოყოფილი მოცემულ ბუკლეტში?
- რა ინფორმაციაა მოცემული განსხვავებული შრიფტით?

ნაბიჯი 2.

რა ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ ბროშურაში პოტენციურ მოგზაურთა მოსაზიდად, რატომ მიგაჩნიათ ისინი ეფექტურად (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).

აქტივობა 1. იდეების გენერირება, შავი მონახაზის (პირველადი ვერსიის) შექმნა, ნაშრომის გაუმჯობესება, ნაშრომის წარდგენა.

კითხვები:

- რომელი რუბრიკები იქნება თქვენს ბროშურაში წარმოდგენილი? რატომ?
- რა საილუსტრაციო მასალას შეარჩევთ?
- როგორ გამოიყენებთ ტექსტში მოძიებულ ინფორმაციას ბროშურაში?

- რამდენად დახმარება ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით დაინტერესებულ მოგზაურებს?
- როგორ გავაუმჯობესო პირველადი ვერსია დავალების მითითებების გათვალისწინებით?
- როგორ წარვადგინო ნაშრომი?

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები

1. **რევაზ თვარაძე**, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა (ნაწყვეტი), კრებულში: ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, III ტ., ძველი ქართული ლიტერატურა, გვ., 5-10, თბ., 2009;
2. **გრივერ ფარულავა**, ქართული მწერლობის სათავეებთან, იქვე, გვ., 11-20;
3. **გრივერ ფარულავა**, ქართული ჰაგიოგრაფია, იქვე, გვ., 21-44;
4. **ზურაბ სარჯველაძე**, კორნელი დანელია, ელგუჯა გიუნაშვილი, იაკობ ხუცესი და მისი თხზულება, იქვე, გვ. 45-51;
5. **მანანა გიგინეიშვილი**, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, იქვე, გვ. 52-62;
6. **გრივერ ფარულავა**, ეროვნული ჰაგიოგრაფიის გმირი, იქვე, გვ. 63-72;
7. **გრივერ ფარულავა**, თვითდამდაბლების გზით – ამაღლებისაკენ, იქვე, გვ. 97-108;
8. **გოჩა კუჭუხიძე**, „წმიდა ჰაბო ტფილელის წამების“ სკოლაში სწავლებისათვის, იქვე, გვ. 115-122;
9. **ვახტანგ როდონაია**, „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, იქვე, გვ.123-125;
10. **რევაზ სირაძე**, ქართული აგიოგრაფია, იქვე, გვ. 126-147;
11. **ზურაბ სარჯველაძე**, კორნელი დანელია, ელგუჯა გიუნაშვილი, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, იქვე, გვ. 148-150;
12. **გრივერ ფარულავა**, გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე, იქვე, გვ. 151-158.